



საქართველოს უნივერსიტეტი

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა

სადოქტორო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ხელნაწერის უფლებით

მაია ალხაზაშვილი

უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამის რისკების

შეფასება და მართვა

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

(სპეციალობა - 0904 - საზოგადოებრივი ჯანდაცვა)

თბილისი

2022

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის
ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში.

სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა:

თავმჯდომარე - ვასილ ტყეშელაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ამირან გამყრელიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შიდა ექსპერტი - თეიმურაზ სილაგაძე, მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

გარე ექსპერტი - ქეთევან სტვილია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი, პროფესორი

გარე ექსპერტი - ნინო აბესაძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი

გარე ექსპერტი - ლელა სტურუა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2022 წლის 25 ნოემბერს, 17:00 საათზე საქართველოს

უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსი , საკონფერენციო ოთახი 519.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2022__ წლის 25 ოქტომბერს

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

სუ-ის სადოქტორო პროგრამების მენეჯერი

ნათია მანჯიკაშვილი

თემის აქტუალობა

ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია, დონორული სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის უმნიშვნელოვანესი პასუხისმგებლობა და ერთერთი ძირითადი პრიორიტეტია. სისხლის გადასხმა ადამიანებს სიცოცხლეს უნარჩუნებს და მათ ჯანმრთელობას აუმჯობესებს, თუმცა ბევრ პაციენტს, ვისაც სისხლი ესაჭიროება, არ აქვს დროული ხელმისაწვდომობა უსაფრთხო სისხლზე. უსაფრთხო სისხლით უზრუნველყოფა, საჭიროების დადგომისას, ყველა ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

2018 წლის მონაცემებით, ქვეყნების 73%-ს გააჩნდა (171-დან 125 ქვეყანას) სისხლის ეროვნული პოლიტიკა, მაშინ როდესაც 2004 წელს სახელმწიფოთა მხოლოდ 60% ხელმძღვანელობდა მსგავსი პოლიტიკით. ჯამში, სახელმწიფოთა 66%-ს გააჩნია განსაზღვრული კანონმდებლობა, რომელიც ეხება უსაფრთხო და ხარისხიანი სისხლის მიწოდებას: მაღალი შემოსავლების ქვეყნების 79%; საშუალო შემოსავლების ქვეყნების 63%; დაბალი შემოსავლების ქვეყნების 39% (<https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/blood-safety-and-availability>)

1975 წლიდან გლობალურად სისხლის უსაფრთხოების საკითხებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ჩაუდგა სათავეში ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის რეზოლუციით (WHA28.72). მიზანი უსაფრთხო, ხარისხიანი სისხლისა და მისი კომპონენტების უნივერსალური ხელმისაწვდომობის და მათი რეციპიენტისათვის უსაფრთხოდ მიწოდების უზრუნველყოფაში მდგომარეობდა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით ყველა ღონისძიება დაკავშირებული სისხლის შეგროვებასთან, კვლევასთან, გადამუშავებასთან, შენახვასა და რეციპიენტისათვის მიწოდებასთან, უნდა იყოს კოორდინირებული ეროვნულ დონეზე სისხლის ეროვნული პოლიტიკის მეშვეობით. ამასთან, აღნიშნული ღონისძიებები შესაბამისი კანონმდებლობით უნდა რეგულირდებოდეს, რათა ერთდროულად განხორციელდეს სტანდარტებისა და თანმიმდევრული ღონისძიებების დანერგვა სისხლისა და მისი კომპონენტების უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში. სისხლის ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს წარმოადგენს: დონაციათა ერთიანი ელექტრონული ბაზის ფორმირება, დონაციათა რაოდენობის ზრდა უანგარო დონორების წილის მატებით, დონორული სისხლის კვლევა, დონორული სისხლისა და სისხლის კომპონენტების მწარმოებელი სისხლის ბანკების ლაბორატორიების ხარისხის კონტროლი,

პაციენტებისათვის დონორული სისხლის დროული და ადეკვატური მიწოდება ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის რეზოლუციებით რეგულირდება (WHA28.72, 1975წ.; WHA58.13, 2005წ.) სისხლი და სისხლის კომპონენტები არ უნდა გახდეს კომერციული გარიგებების საგანი. უანგარო დონორთა ბაზის გაფართოება ევროპის სტრატეგიის „ჯანმრთელობა 2020“ ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს 2020 წლისათვის ყველა ქვეყანაში მოთხოვნილება დონორულ სისხლზე დაკმაყოფილდეს მხოლოდ უანგარო/მოხალისე დონორების მეშვეობით (http://www.who.int/worldblooddonorday/media/who_blood_safety_factsheet_2011.pdf).

აღნიშნულ მიზანს ემსახურება ასევე 2009 წლის 11 ივნისის მელბურნის დეკლარაცია სისხლისა და

სისხლის კომპონენტების 100%-ით უანგარო დონაციებთან დაკავშირებით (http://www.who.int/worldblooddonorday/Melbourne_Declaration_VNRBD_2009.pdf)
ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2012 წლის ასამბლეის რეზოლუცია (WHA63.12)
მოუწოდებს ყველა წევრ სახელმწიფოს შეიმუშაოს სისხლის ეროვნული პროგრამები, რომელიც დაეფუძნება უანგარო უფასო დონაციებს და ქვეყნის მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფს სისხლისა და სისხლის კომპონენტების საჭირო მარაგების მობილიზებას.

დონორული სისხლის სავალდებულო კვლევა აივ ინფექციაზე, B და C ჰეპატიტებზე, სიფილისზე და ასევე სისხლის ჯგუფისა და რეზუს ფაქტორის დადგენა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციას წარმოადგენს. 1980-90-იან წლებში აივ ინფექცია/შიდსის შემთხვევების 10% სისხლის ტრანსფუზიით იყო განპირობებული, აღნიშნული უპირობოდ ადასტურებს აივ-ინფექცია/შიდსისა და სხვა ინფექციებზე სისხლის შემოწმების აუცილებლობას.

ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენციის მართვა მაღალშემოსავლიან ქვეყნებში გაცილებით დაბალია, ვიდრე საშუალო და დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში. აღსანიშნავია სისხლის დამუშავებასთან დაკავშირებული ფაქტორიც. შეგროვილი სისხლი შეიძლება შენახულ იქნას და გადაესხას პაციენტს შეუცვლელი სახით („მოლიანი სისხლის“ გადასხმა). დონორული სისხლისა და სისხლის კომპონენტების (ერიტროციტული მასა, პლაზმა, კრიოპრეციპიტატი, თრომბოციტების მასა) გამოყენების მატება რეციპიენტ პაციენტთა რაოდენობის ზრდაში გამოიხატება. ჯანმოს მონაცემებით, ქვეყნების შემოსავლების მიხედვით სისხლის კომპონენტების გამოყენების მაჩვენებლები დაბალ შემოსავლებიან ქვეყნებში - 45%-ს, საშუალო შემოსავლებიან ქვეყნებში - 80%-ს, მაღალ შემოსავლებიან ქვეყნებში კი - 95%-ს შეადგენს.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, სისხლის გადასხმის ეროვნული პოლიტიკის გატარებისა და სისხლის რაციონალური გამოყენების დანერგვისათვის ყველა ქვეყანამ უნდა შექმნას და მხარდაჭერა გაუწიოს ეროვნულ დონეზე კოორდინირებად, ეფექტიანად მართვად და მდგრად სისხლის და პლაზმის პროგრამებს, რომლებიც უსაფრთხო სისხლით თვითუზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად უნდა იყოს მიმართული. სისხლის პლაზმიდან მიღებული პროდუქტების (იმუნოგლობულინები, კოაგულაციური ფაქტორები და სხვა) საკმარისი და სამართლიანი მიწოდება პაციენტებისთვის თითოეული ქვეყნის მთავრობის პასუხისმგებლობაა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, სისხლის გადასხმის ეროვნული პოლიტიკის გატარებისა და სისხლის რაციონალური გამოყენების დანერგვისათვის ყველა ქვეყანას უნდა გააჩნდეს სისხლის გადასხმის ზედამხედველობის ეროვნული სისტემა ან სისხლის გადასხმის კომიტეტი საავადმყოფოებში, რომელიც განახორციელებს მონიტორინგს და გააუმჯობესებს გადასხმის პროცესის უსაფრთხოებას. ჯანმო-ს მონაცემებით, 100-ზე მეტ ქვეყანაში არსებობს და დანერგილია სისხლის კლინიკური გამოყენების ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპები.

სისხლით გადამდები დაავადებებზე ზედამხედველობა საქართველოში განსაკუთრებით მინიშნელოვანი და აქტუალური გახდა C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის განვითარებასთან ერთად. საქართველოს მთავრობის ძლიერი პოლიტიკური ნების, CDC-ისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერის წყალობით, 2015 წელს საქართველოში დაიწყო მსოფლიოში უპრეცედენტო პროექტი C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა და 2016

წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგია, რომლის ერთერთი მთავარი პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა სისხლის ტრანსფუზიის სისტემის უსაფრთხოება. ამის საფუძველს წარმოადგენდა 2015 წელს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა (დკსჯეც) და აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC) მიერ ჩატარებული C ჰეპატიტის სეროპრევალენტობის პოპულაციური კვლევის შედეგები, რის მიხედვითაც საქართველოში C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტისხეულები აღმოაჩნდა მოზრდილი მოსახლეობის 7,7%-ს, ხოლო აქტიური დაავადება - 5,4%-ს ჰქონდა. გავრცელების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად დასახელდა სისხლის გადასხმა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობდა უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამა 1997 წლიდან, საქართველოს სისხლის ტრანსფუზიის სერვისები ვერ აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც უკვე მრავალი წელია დანერგილია ამერიკასა და ევროკავშირის ქვეყნებში.

C ჰეპატიტის სეროპრევალენტობის პოპულაციური კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველო C ჰეპატიტის (HCV) მაღალი გავრცელების მქონე ქვეყნებს შორის აღმოჩნდა. 90-იანი წლების დასაწყისში ჯანდაცვის სისტემის კოლაფსმა და სამედიცინო სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის პრობლემებმა უარყოფითი გავლენა იქონია უსაფრთხო ინექციების, ინფექციის კონტროლისა და სისხლის უსაფრთხო დონაციის პრაქტიკაზე, რაც ტრანსფუზიებით ვირუსული ინფექციების გავრცელების ერთერთ მიზეზას შეიძლება ჩაითვალოს.

სისხლის უსაფრთხოების და ტრანსფუზიოლოგიური სამსახურების ხარისხის უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი სამართლებრივ და მარეგულირებელ აქტებს ენიჭებათ. სასურველია, რომ ეს რეგულაციები სრულ თანხვედრაში იყოს ევროკავშირის თანამედროვე დირექტივებთან და მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის „უსაფრთხო სისხლის ტრანსფუზიაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის“ გლობალურ სტრატეგიულ გეგმასთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების გავრცელების საწინააღმდეგო ძალისხმევა, კერძოდ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში მიღწეულ იქნა ინფიცირებულ პირთა გამოვლენის უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელი; აივ ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტის და სისხლის დონორთა მონაცემთა ბაზებს შორის ინფორმაციული ცვლის მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნა აივ ინფექციით და C ჰეპატიტით ინფიცირებულ პირთა დონაციის უფლების დაუყოვნებელი შეზღუდვა; „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად მიმდინარეობს უანგარო დონაციების პოპულარიზაციის კამპანია, რომლის შედეგად, უანგარო დონაციების რაოდენობა გაიზარდა 5%-დან 30%-მდე; ბოლო წლის მონაცემებით კი 41%-მდე. აქტიურ ფაზაში შევიდა ევროკავშირთან თანამშრომლობა სისხლის უსაფრთხოების მიმართულებით (TAIEX, Twinning).

თუმცა, მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება კომერციული დონორების მაღალი პროცენტული წილი, რაც დეცენტრალიზებული ლაბორატორიული ქსელის, დონაციების სკრინინგის განსხვავებული მეთოდებისა და არაუნიფიცირებული ხარისხის სტანდარტების პირობებში, ინფექციების გავრცელების მომატებულ საფრთხეს ქმნის.

კვლევის მიზანი და ამოცანები

საქართველოში სისხლით გადამდები დაავადებების პრევენციის თვალსაზრისით ტრანსფუზიის სისტემის გაუმჯობესება „უსაფრთხო სისხლის“ სისტემის არსებული მოდელის ეფექტიანობის შეფასებისა და სისხლის კომპონენტების სასიცოცხლო ციკლის შესაბამის ეტაპზე ხარისხის რისკების გამოვლენის საშუალებით.

კვლევის ამოცანები

1. სისხლით გადაცემადი ინფექციების გადაცემის რისკების შეფასება
2. სისხლის უსაფრთხოების კვლევების ხელშეწყობა, ტრანსფუზიით გადამდებ ინფექციებზე ტესტირების ცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბების გზით.
3. სისხლის წარმოების და ტესტირების ხარისხის კონტროლის სისტემის მოთხოვნების ჩამოყალიბება.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

კვლევამ, რომელიც ჩატარდა სისხლის ბანკებისა და ლუგარის ს/ჯ კვლევითი ცენტრის ჩართულობით და რის ფარგლებშიც დონორული სისხლი გამოკვლეული იქნა ტრანსფუზიით გადამდებ ინფექციებზე ახალი თანამედროვე მეთოდოლოგიის (NAT) გამოყენებით, მოგვცა შესაძლებლობა უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამაში ამ მეთოდის რუტინულად გამოყენების შესაძლებლობა და უფრო ხარისხიანი და სანდო ტრანსფუზიების უზრუნველყოფა. კერძოდ,

1. საქართველოში პირველად განხორციელდა ტრანსფუზიით გადამდებ ინფექციებზე ცენტრალიზებული ტესტირების მოდელის პილოტირება;
2. საქართველოში პირველად დაინერგა სისხლის დონორების სკრინინგის ახალი მეთოდი - ნუკლეინმჟავა ამპლიფიკაციის ტესტირების NAT მეთოდი და შეფასდა მომავალში რუტინულად გამოყენების კლინიკური ეფექტიანობა;
3. საქართველოში პირველად დაინერგა ლაბორატორიული ხარისხის გარე კონტროლის პროგრამა სისხლის ბანკებისათვის.
4. მომზადდა სისხლის ეროვნული სისტემის რეფორმის პროექტი, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სისტემის ცენტრალიზება და პროცესების სტანდარტიზაცია. შეიქმნა ცენტრალური სისხლის დაწესებულებისათვის ტექნიკური დავალება, რომელიც აერთიანებს როგორც დონაციების ცენტრალიზებულ ტესტირებას, ასევე სისხლისა და სისხლის პროდუქტების ცენტრალიზებულ წარმოებასა და ლოგისტიკას.

კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

1. ნაშრომში თავმოყრილია უსაფრთხო სისხლის სისტემის არსებული მოდელის ნაკლოვანებები და გამოწვევები, სისტემის არსებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა და ევროპის მოქმედი დირექტივები ამ სფეროში. ნაშრომში წარმოდგენილია სისხლის დაწესებულების თვითშეფასების საფუძველზე ქვეყანაში არსებული რესურსები და ამ სერვისების ხარისხის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან.
2. კვლევის შედეგები ამყარებს NAT-მეთოდის იმპლემენტაციის მიზანშეწონილობას მიუხედავად მისი მაღალი ღირებულებისა. მისი კლინიკური გამოყენების ეფექტიანობა საკმაოდ მაღალია, რაც განაპირობებს ინფექციების გავრცელების პრევენციას და ზოგადად სისხლის სისტემის გაძლიერებას საქართველოში.

3. დონორების სკრინინგის ოქროს სტანდარტად აღიარებული მეთოდის და დიაგნოსტიკაში კარგი პრაქტიკის იმპლემენტაცია, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან გვაახლოვებს და არის ერთერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ევროკავშირში ინტეგრაციისაკენ.
4. ნაშრომში წამოდგენილი პილოტური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით NAT-მეთოდის ინტეგრირება განხორციელდა უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამაში, ასევე პარალელურად მომზადდა სისხლის ცენტრალური დაწესებულების პროექტი, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს შეამციროს ნატ-ტესტირებაზე გათვლილი ხარჯები ინდივიდუალური მეთოდის (ID-NAT) მინი პულირების (MP) მეთოდით ჩანაცვლების გზით.
5. NAT-მეთოდის იმპლემენტაცია საქართველოში წარმოადგენს რეგიონულ მოდელს და კარგი პრაქტიკის გამოცდილებას დაბალი და საშუალო შემოსავლიანი ქვეყნებისათვის.
6. კვლევის ფარგლებში განხილული საკითხები და შედეგები დაედო საფუძვლად ევროკავშირის თვინიანგის პროექტის „უსაფრთხო სისხლის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ ინიცირებას. პროექტის ფარგლებში განისაზღვრა სისხლის უსაფრთხოების სისტემის რადიკალური ცვლილებების საჭიროება, რაც კანონმდებლობაში ასახვას საჭიროებს. სწორედ კვლევაში მიღებული შედეგებსა და გამოვლენილ რისკებზე დაფუძნებით შეიქმნა სრულიად ახალი საკანონმდებლო ბაზის პროექტი, რომელიც წარდგენილ იქნა პარლამენტში, გაიარა ყველა ძირითადი საფეხური და მზად არის პლენარულ სხდომაზე განსახილველად.

დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები

1. ქვეყანაში არსებული სისხლის სისტემის დეცენტრალიზებული მოდელი, კერძოდ ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების ტესტირების ხარისხი, არასათანადო დონეზეა და მოითხოვს გაუმჯობესებას ტრანსფუზიით გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციისა და რისკების შემცირების თვალსაზრისით;
2. სისხლის დაწესებულებებში არ არის იმპლემენტირებული სისხლის მიმართ არსებული ხარისხის კონტროლის მექანიზმები, ასევე არ არსებობს სახელმწიფოს ან/ სხვა კომპეტენტურ ორგანოს მიერ სისხლის ბანკების რეგულარული შემოწმების ვალდებულება. აუცილებელია სალიცენზიო პირობების გადახედვა და საკანონმდებლო ბაზის გადახედვა.
3. ნუკლეინმჟავა ამპლიფიკაციის ტესტირების (NAT) მეთოდის მაღალი მგრძნობელობის გამო NAT ტექნოლოგიების იმპლემენტაციამ გამოავლინა დონორების სკრინინგული ალგორითმების განახლების საჭიროება; პროცედურების სტანდარტიზაცია და პერსონალის ტრენინგის აუცილებლობა.
4. NAT ტესტირების შედეგების ანალიზისას კიდევ ერთხელ დადასტურდა უანგარო და განმეორებითი დონორების მოზიდვისა და შენარჩუნების აუცილებლობა, რადგან ისინი წარმოადგენენ ყველაზე დაბალ რისკს ტრანსფუზიასთან ასოცირებული ინფექციების პრევენციის თვალსაზრისით.
5. NAT ტექნოლოგია ძვირადღირებული მეთოდია და მომავალში უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამაში დანახარჯების შემცირების მიზნით მიზანშეწონილია სეროლოგიური ტესტირების ცენტრალიზება, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ სერონეგატიურ ნიმუშებში მინი პულირების მეთოდი ინდივიდუალური ნატ ტესტირების ნაცვლად.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

დისერტაცია შედგება შესავალის, 7 თავის, კვლევით მიღებული ძირითადი შედეგების, დასკვნების, პრაქტიკული რეკომენდაციების, გამოყენებული ლიტერატურის, დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სიის, 8 დანართის და თანდართული CD - ისგან. დისერტაცია დაწერილია 225გვერდზე, APA-ს მოთხოვნების დაცვით და შეიცავს 14 ცხრილსა და 20 დიაგრამას. გამოყენებული ლიტერატურის სია შეიცავს XXX წყაროს. თანდართულ CD-ზე ჩაწერილია სადოქტორო დისერტაციისა და მაცნეს (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ელექტრონული ვერსიები, გამოყენებული კითხვარი, მონაცემთა ელექტრონული ბაზა, დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები.

ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის ფრაგმენტები მოხსენებულია C ჰეპატიტის ელიმინაციასთან დაკავშირებულ ყოველწლიურ კონფერენციებზე: ტექნიკურ მრჩეველთა მე-3 შეხვედრა (დეკემბერი, 2018, თბილისი); ტექნიკურ მრჩეველთა მე-4 შეხვედრა (ნოემბერი, 2019, თბილისი); ტექნიკურ მრჩეველთა მე-7 შეხვედრა (მარტი, 2022, თბილისი); ღვიძლის საერთაშორისო კონფერენციაზე (ILC 2022; 23 ივნისი, 2022; ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო სადისერტაციო საბჭოს მიერ ონლაინ ჩატარებულ შიდა სხდომაზე (27 ივლისი, 2022; თბილისი).

კვლევის მასალები და მეთოდები

კვლევა მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს. პირველი ეხება უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე სისხლის ბანკების ხარისხის რისკების შეფასებას. ამ კომპონენტის მიზანია სისხლის ბანკებში ხარისხის არსებული მოდელების შეფასება, აღჭურვილობისა და დონორების სკრინინგისათვის გამოყენებული რეაგენტების რეესტრის შექმნა, შესაბამისი ვალიდაცია ვერიფიკაციის პროცედურების შეფასება, პრენალიზური, ანალიზური და პოსტანალიზურ ეტაპზე ხარისხის რისკების შეფასება. გამოყენებულია ნაწილობრივ რეტროსპექტული და პროსპექტული მონაცემები. ძირითადად კვლევა მოიცავს: სისხლის ბანკების მიერ ჯანმოს მიერ შემოთავაზებული თვითშეფასების კითხვარების საშუალებით ინტერვიუებს და შემდგომ ვიზიტებს რანდომულად შერჩეული სისხლის ბანკების ლაბორატორიებში; ასევე, ეროვნული გარე ხარისხის კონტროლის პროგრამის შექმნა და იმპლემენტაცია უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. კვლევის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სისხლის დაწესებულებები, ე. წ. სისხლის ბანკები. კითხვარი შემუშავდა ლიეტუველი და ნიდერლანდელი ექსპერტების მონაწილეობით და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ იყო მიწოდებული საქართველოში არსებული ყველა (23) სისხლის დაწესებულებისთვის, როგორც თვითშეფასების ინსტრუმენტი, რომელიც დახმარებას გაუწევდა ამ დაწესებულებებს მომავალი ინსპექტირების პროცესისთვის მოსამზადებლად. შევსებული კითხვარები ცენტრს დაუბრუნა 22-მა დაწესებულებამ.

კვლევის მეორე კომპონენტი მოიცავს ინფექციების პრევენციის კუთხით დონორების სკრინინგის ოქროს სტანდარტად აღიარებული მეთოდოლოგიის ნუკლეინმჟავა ამპლიფიკაციის ტესტირების მეთოდის (NAT) პილოტურ იმპლემენტაციას, ტესტირების ცენტრალიზაციის მოდელის შეფასებას და მის შემდგომ იმპლემენტაციას. გამოყენებულია დონორთა ერთიანი ელექტრონული ბაზა და ლუგარის ს/ჯ კვლევით ცენტრის ლაბორატორიული ინფორმაციული მენეჯმენტის ელექტრონული სისტემა(ლიმსი). ID-NAT ტესტირების შედეგები NAT ანალიზატორის (აპარატის) ლაბორატორიული საინფორმაციო სისტემიდან (LIS) გადაეცემა ლუგარის ცენტრის ლაბორატორიული ინფორმაციის მართვის სისტემას (LIMS), საიდანაც ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაიზიარება დონორთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში (blood donor database-BDD). ანალიზი ძირითადად შემოიფარგლება ერთი წლის მონაცემებით (2020 წლის 1 იანვარი – 2020 წლის 31 დეკემბერი). მონაცემთა ბაზა იძლევა უნიკალური პირების მიდევნების შესაძლებლობას ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრის გამოყენებით, რომლებიც დაშიფრულია, კონფიდენციალობა დაცულია და დონორის ნებართვა მიღებულია დონაციის პერიოდში; ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ინფორმაციის გამოყენება დონორის დემოგრაფიულ მონაცემებზე, დონაციის თარიღ(ებ)ზე, დონორის ტიპზე (მაგ., ანაზღაურებადი, უანგარო, ჩანაცვლებითი/ნათესავი), დონორის სტატუსზე (მაგ., პირველადი/განმეორებით), ტესტირების შედეგებზე (მაგ., სეროლოგიური ტესტირების HBV, HCV, HIV და T. pallidum-ზე, მულტიპლექს NAT სკრინინგის და შემდგომ დისკრიმინაციულ ტესტირების შედეგებზე). ამ კვლევისას ყურადღება გამახვილებული იყო მხოლოდ HBV, HCV და HIV. ვინაიდან საკითხი ეხებოდა NAT-სკრინინგის მეთოდის ეფექტიანობის შესწავლას და ეს მეთოდი არ ფარავს სიფილისის (T.pallidum) მარკერებს.

NAT მეთოდი წარმოადგენს მოლეკულურ ტექნიკას, რომელიც გამოიყენება სისხლის დონაციების ტრანსფუზიით გადამდებ ინფექციებზე სკრინინგისათვის. ეს მეთოდი გამოირჩევა მაღალი მგრძნობელობით და ვირუსის ნუკლეინის მჟავის მიმართ მაღალი სპეციფიურობით. ვირუსის რნმ-

ის ან დნმ-ის სამიზნე რეგიონთან ამპლიფიკაციის გზით უფრო ადრე აღმოაჩენს ვირუსს, ვიდრე სხვა სკრინინგული მეთოდები, რაც საგრძნობლად ამცირებს ე.წ., ფანჯრის პერიოდს “window period (WP)”, ანუ დროის ინტერვალს დონორის ინფექციის გამომწვევით ექსპოზიციასა და ტესტის მიერ ინფიცირების დადგენას შორის, აივ ინფექცია შიდსის და ჰეპატიტებით გამოწვეული ინფექციების შემთხვევაში. NAT მეთოდის საშუალებით ფანჯრის პერიოდი (2-9 კვირა, საშუალოდ 4 კვირა) მცირდება 10.34 დღემდე B ჰეპატიტის, 1.34 დღემდე C ჰეპატიტის და 2.93 დღემდე აივ-ინფექციის შემთხვევაში. (Weusten J/ვოისტენ ჯ., 2011).

HIV შემთხვევაში ფანჯრის პერიოდი მერყეობს 18-დან 90 დღემდე და დამოკიდებულია ტესტის ტიპზე. ვირუსის აღმოჩენა NAT მეთოდით შესაძლებელია დაინფიცირებიდან 10-33 დღის მანძილზე. (<https://www.cdc.gov/hiv/basics/hiv-testing/test-types>).


C ჰეპატიტის შემთხვევაში ფანჯრის პერიოდი გრძელდება ინფიცირებიდან 8–11 კვირის განმავლობაში, მხოლოდ ამ პერიოდის შემდეგ არის შესაძლებელი ანტისხეულების გამოვლენა, ხშირ შემთხვევაში კი ეს პერიოდი ხანგრძლივდება 6 თვემდეც. C ჰეპატიტის აღმოჩენა დაინფიცირებიდან 1-2 კვირის განმავლობაში მხოლოდ NAT მეთოდით არის შესაძლებელი (<https://www.cdc.gov/hepatitis/hcv/cfaq>);

კვლევაში გამოყენებული NAT მეთოდების (Procleix Ultrio Elite Assay და Procleix Ultrio Elite HIV, HCV, and HBV Discriminatory Assays) მგრძნობელობა მწარმოებლის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით განისაზღვრება 100 %-ით. ვირუსის აღმოჩენის ზღვარი (LOD) განსხვავებულია ინფექციის გამომწვევების მიხედვით და შეადგენს: აივ-ის შემთხვევაში HIV-1/2 RNA კონცენტრაცია ≥ 100 კოპია/მლ, C ჰეპატიტის შემთხვევაში HCV RNA კონცენტრაცია ≥ 30 IU/mL, და B ჰეპატიტის შემთხვევაში HBV DNA კონცენტრაცია ≥ 6 IU/mL.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ მეთოდით გამოვლინდება სეროლოგიით ცრუ დადებითი დონაციები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დონორებთან კომუნიკაციას.

სტატისტიკური ანალიზისათვის გამოყენებული იყო SAS ვერსია-9.4 (Cary, ჩრდილოეთ კაროლინა, აშშ). დონორების დემოგრაფიული მახასიათებლების, დონორის ინფექციურ მარკერის პოზიტიურობასთან დაკავშირებული სტატუსებს და სეროლოგიური/NAT შედეგების შესაბამისობებს შორის კავშირების დასადგენად ჩატარდა ბივარიაციული ანალიზი chi-square ტესტების გამოყენებით. სეროლოგიური/NAT ტესტის შეუსაბამობების შემთხვევებში რისკების (Odds) კოეფიციენტები გამოთვლა განხორციელდა მრავალცვლადიანი ანალიზის გამოყენებით, რომელიც მოიცავდა დონორის ასაკს, სქესს, ტიპს, სტატუსს. სტატისტიკური მნიშვნელოვნების ზღურბლად გამოყენებული იყო ალბათობა (P-value) ნაკლები 0.05-ზე.

DiagramN1. NAT -სკრინინგის პილოტური პროექტის დიზაინი



მთლიანი სისხლისგან, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში (4 ბანკი) აფერეზით მიღებულის. ერთი დაწესებულება აწარმოებს მხოლოდ პლაზმას.

ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების მარკერების გამოვლენა სისხლის დონაციებში

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სკრინინგული ტესტირებისას ინფექციის მარკერების გამოვლენის მაჩვენებლები მიუთითა 14-მა (64%) სისხლის ბანკმა. ბანკების მიერ მოწოდებული იყო არაერთგვაროვანი პასუხები: ზოგიერთმა დაწესებულებამ მიუთითა მარკერების გამოვლენის რაოდენობა რიცხვებში, ზოგიერთმა კი - მხოლოდ პროცენტი. ამასთანავე, დაწესებულებების ნაწილმა კითხვარის სათანადო გრაფაში მიუთითა დონორების საერთო რიცხვი, ნაწილმა კი - დონაციების რიცხვი. ამ მონაცემებთან ერთად პარალელურად შეფასდა სახელმწიფო პროგრამაში 2019 წელს ამ ბანკების მიერ მითითებული დონაციების რაოდენობები და განისაზღვრა ინფექციების გავრცელების პროცენტი: 14 დაწესებულების მიერ მითითებული დონაციების საერთო რიცხვი შეადგენს 48 373, აქედან: სკრინინგული ტესტირებისას გამოვლინდა HIV- 0.097% (47); HCV- 0.48% (230); HBsAg-0.70% (341); Syphilis-0.52% (250).

მიღებული მონაცემები მიუახლოვდა ამავე საანგარიშო წელს დსჯკეც-ს მონაცემებთან, სახელმწიფო პროგრამაში ჩართული 16 სისხლის დაწესებულების მიხედვით, სადაც დონაციათა საერთო რაოდენობა შეადგენდა 89 196, სკრინინგული ტესტირებისას ინფექციის მარკერების გამოვლენის პროცენტი: HIV- 0.08% (68); HCV- 0.45% (398); HBsAg-0.59% (528); Syphilis-0.54% (484).

სერიოზული გვერდითი მოვლენების და რეაქციების რაოდენობა

კითხვარის მიხედვით, მხოლოდ 4-მა სისხლის ბანკმა მიუთითა საანგარიშო პერიოდში სერიოზული გვერდითი მოვლენის და რეაქციების რაოდენობები. აქედან ერთმა ბანკმა მიუთითა შემთხვევები როგორც დონორებში, ისე რეციპიენტებში. ორმა ბანკმა მიუთითა შემთხვევები მხოლოდ რეციპიენტებში, ერთმა ბანკმა - მხოლოდ დონორებში. სულ აღნიშნული იყო 17 შემთხვევა დონორებში და 9 შემთხვევა რეციპიენტებში. სავარაუდოდ, სერიოზული გვერდითი მოვლენების და რეაქციების აღრიცხვა დონორებში და რეციპიენტებში არ ხდება.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

ბანკებმა მიუთითეს, რომ აქვთ ხარისხის კონტროლის სისტემის ამსახველი დოკუმენტაცია, მაგრამ არც ერთს არ წარმოუდგინია აღნიშნული დოკუმენტები. გამონაკალის წარმოადგენდა ერთი ბანკი, რომელმაც მიუთითა, რომ არ გააჩნია ეს სისტემა.

ბანკების მიერ იყო აღნიშნული, რომ არსებობს პერსონალის სამუშაოს აღწერის დოკუმენტაცია, ხარისხის სახელმძღვანელო და სტანდარტული სამოქმედო პროცედურები-სსპ (SOP), მაგრამ დიდ უმრავლესობას არ წარმოუდგენია ეს დოკუმენტები. 4-მა ბანკმა (18%) მიუთითა პერსონალის რაოდენობა, რომელიც მერყეობდა 4 სამტატო ერთეულიდან 20 სამტატო ერთეულამდე, თუმცა არ წარმოუდგენიათ ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ. ყველა ბანკი უთითებს, რომ სამსახურში მიღებისას ატარებს პერსონალის გადამზადებას მათი კონკრეტული ფუნქციების შესრულებისთვის, თუმცა არც ეს პროცედურაა გაწერილი და არც ჩანაწერების არ წარმოუდგენიათ. ბანკების მიერ მითითებულია, რომ მათ გამოყოფილი ყავთ სისხლის და სისხლის კომპონენტების ხარისხზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ამტკიცებენ ამ პროცედურებს, თუმცა შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენიათ. ორმა ბანკმა აღნიშნა, რომ ასეთი ამ პროცესების განხილვა და დამტკიცება არ ხდება.

გამოკითხვისას, 4 ბანკმა (18%) აღნიშნა, რომ გააჩნიათ თვითშეფასების ან შიდა აუდიტის სისტემა, მაგრამ არ წარმოუდგენიათ ინსტრუქციები/ტრენინგების ჩანაწერები/დაკვირვებები. დანარჩენ ბანკებს თვითშეფასების ან შიდა აუდიტის სისტემის შესახებ ინფორმაცია არ მოუწოდებოდა.

ზოგიერთმა ბანკმა აღნიშნა, რომ გადაცდომების და შეუსაბამოების აღმოფხვრა ხდება SOP-ის შესაბამისად ან ეს ხდება აუდიტორული სამსახურის მეთვალყურეობით, თუმცა არ არის მოწოდებული დამადასტურებელი დეტალები. არ არის მოწოდებული ინფორმაცია შეცდომების მიკვლევასა და შესწავლაზე, რისკების მენეჯმენტზე.

დონორის შეტყობინება

გამოკითხვისას ბანკები აღნიშნავენ, რომ სისხლის გზით გადამდებ ინფექციებზე ტესტირების საეჭვო ან დადასტურებული დადებითი შედეგის შემთხვევაში ხდება დონორის ინფორმირება პასუხისმგებელი კვალიფიციური პერსონალის მიერ, კონფიდენციალობის დაცვით. 3-მა (14%) დაწესებულებამ აღნიშნა დონორის შეტყობინება სატელეფონო კავშირით ან ინდივიდუალური დალუქული კონვერტით. კითხვას არ უპასუხა ორმა დაწესებულებამ. ერთმა დაწესებულებამ მონიშნა, რომ შეტყობინება არ ხდება აივ/შიდსის შემთხვევაში.

დონაციის გადავადების და დონორის დაწინაურების დოკუმენტირება აღნიშნა 13-მა (59%) დაწესებულებამ. ერთმა მიუთითა, რომ ბაზაში შესაძლებელია გადავადების აღნიშვნა და მიზეზის მითითება.

ლაბორატორიული ტესტირება

22 სისხლის ბანკიდან 16 (72,7%) დაწესებულებას აქვს საკუთარი ლაბორატორია. 6 დაწესებულება ტესტირებას წარმოებს საკუთარი ჰოსპიტალური ქსელის ლაბორატორიაში ან სხვა ლაბორატორიებში, კონტრაქტის საფუძველზე (მეგალაბი, ავერსის ცენტრალური ლაბორატორია და სხვა). საკუთარი ლაბორატორიის არსებობის ყველა შემთხვევაში მითითებული იყო, რომ ლაბორატორიას აქვს საკუთარი ფართი, რომელიც განალკევებული და დაცულია არაავტორიზებული პირებისგან.

ლაბორატორია ასრულებს ყველა სავალდებულო იმუნოჰემატოლოგიურ და ინფექციურ მარკერებზე ტესტირებას. არცერთი დაწესებულების მიერ არ იყო წარმოდგენილი ტესტირების პროცესის დეტალური აღწერა. როგორც წესი, იყო აღნიშნული, რომ აქვთ სტანდარტული საოპერაციო პროცედურები, თუმცა ისინი არ ყოფილა წარმოდგენილი. 19 ბანკმა მიუთითა, რომ აქვთ ნიმუშების მართვის პროცედურები. 14 ბანკმა აღნიშნა, რომ იყენებენ ტესტ-სისტემებს, რომლებსაც გავლილი აქვთ ვალიდაცია, რაც არ შეესაბამება რეალობას, ვიზიტისას გაირკვა, რომ პერსონალი ვერ ერკვევა ვალიდაცია/ ვერიფიკაციის პროცედურების შინაარსში. ტესტ-სისტემების მწარმოებლების ხარისხის კონტროლის კრიტერიუმების გამოყენება მიუთითა 15 ბანკმა.

იმუნოჰემატოლოგიურ მარკერებზე ტესტირება.

13 ბანკში (59%) სავალდებულო იმუნოჰემატოლოგიურ მარკერებზე ტესტირება (ABO, RhD) ხორციელდება მანუალური მეთოდით, 4 შემთხვევაში (18%) - ნახევრადავტომატური მეთოდით. დანარჩენ ბანკებს არ დაუზუსტებიათ, როგორ ატარებენ იმუნოჰემატოლოგიურ

მარკერებზე ტესტირებას. ერითროციტარულ ანტისხეულებზე ტესტირებას ახორციელებს 5 ბანკი (22,7%) .

ინფექციურ მარკერებზე ტესტირება

6 ბანკის მიერ (27%) HBsAg, anti HCV, HIV 1/2, ინფექციურ მარკერებზე ტესტირება ხორციელდება მთლიანად ავტომატურ რეჟიმში. ყველა სხვა დაწესებულება (73%) ტესტირებას ახორციელებს ნახევრადავტომატური ELISA მეთოდით. სიფილისზე ტესტირება ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება 3 ბანკის შემთხვევაში (13,6%). დანარჩენ შემთხვევებში გამოიყენება ნახევრადავტომატური მეთოდი. ტესტირების შედეგების გადანაწილად ავტომატურად არ წარმოებს , გამონაკლისია 2 ბანკი , რომელიც ტესტირებას ახორციელებს კონტრაქტორ ლაბორატორიებში.

კონფირმაციული ტესტირების ალგორითმს არ იყენებს 22 ბანკიდან, სავარაუდოდ, არცერთი ბანკი (თუმცა 10 ბანკმა მიუთითა, რომ იყენებენ აღნიშნულ ალგორითმს, რაც სავარაუდოდ, მცდარი პასუხია, ვინაიდან საქართველოში ბანკები ახორციელებენ სკრინინგულ ტესტირებას, მათ მიერ კონფირმაციული ტესტირება არ ტარდება)

22 ბანკიდან 12 ბანკის მიერ მითითებული იყო, რომ უზრუნველყოფილი აქვთ მიკვლევადობა ანალიზის შედეგიდან დონაციის საიდენტიფიკაციო ნომრამდე, მოწყობილობის საიდენტიფიკაციო ნომრამდე, რეაგენტის პარტიის ნომრამდე, და პერსონალამდე, რაც ადგილზე მონიტორინგისას ბევრ შემთხვევაში ვერ დასტურდება.

18 სისხლის ბანკის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რეაგენტებს ინახავენ ტემპერატურის მონიტორინგის სისტემით და განგაშის სიგნალით აღჭურვილ სხვადასხვა მაცივრებში, რაც არ დასტურდება, რადგან ტემპერატურის კონტროლი მანუალურად ნაწარმოები ფორმებით არის წარმოდგენილი.

3 დაწესებულების გარდა, ყველა დაწესებულებამ აღნიშნა, რომ დადგენილი აქვთ ტესტირების შედეგების შესახებ, ასევე ტესტების მწარმოებლების და პარტიის ნომრების შესახებ ინფორმაციის არქივირების ვადები.

გარე ხარისხის კონტროლის ეროვნული პროგრამა


პროგრამის პილოტური იმპლემენტაცია დაიწყო 2020 წლიდან და მასში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. პირველ ეტაპზე პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 17-მა საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური დაწესებულების ლაბორატორიამ, მეორე ეტაპზე კი 18-მა. მონაცემების ანალიზისას პროგრამის პირველი ეტაპზე შეუსაბამოა გამოვლინდა 2 ლაბორატორიაში, ორივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა აივ-ინფექციაზე ტესტირების ხარვეზს, მიღებული იყო როგორც აივ-ინფექციაზე ცრუ დადებითი, ასევე ცრუ უარყოფითი შედეგი.

ცრუ უარყოფითის შემთხვევაში ტესტირება ჩატარებული იყო ავტომატურ ანალიზატორზე (Ortho Clinical Diagnostic. Jonson&Jonson) ქემიმუნოფლორესცენტული მეთოდით. განხორციელდა ადგილზე მინიტორინგი, გადამოწმდა ტესტ-სისტემების ვადები და მათი შენახვის პირობები. ლაბორატორიას მიეცა აპარატურის რეგარემო საინჟინრო მომსახურების და გამოყენებული ტესტების ვალიდაცია/ვერიფიკაციის რეკომენდაცია.

ცრუ დადებითის შემთხვევაში ტესტირება შესრულებული იყო მანუალურად, Mindray MR-96 A - ანალიზატორზე, იტალიური წარმოების Dia.pro Diagnostic Bioprobes ტესტ-სისტემების გამოყენებით. მონიტორინგის შედეგად შესაძლებელ მიზეზად ჩაითვალა პერსონალის შეცდომა, კონტამინაციის შესაძლებლობა, რეკომენდაციები შეეხო ბიუსაფრთხოების სტანდარტებს და ლაბორატორიის პერსონალისთვის დამატებით ტრენინგების საჭიროებას.

აღნიშნული შეუსაბამოების გათვლისწინებით, მომდევნო ეტაპისთვის სეროლოგიური პანელების ნიმუშებს დაემატა დამატებითი, მე-5 საკონტროლო პანელი, რომელიც შეიცავდა აივ ინფექციის საშუალო კონცენტრაციას. რისი საშუალებითაც კიდევ ერთხელ გადამოწმდა ბანკების ტესტირების შესაძლებლობები და შესაძლო ცდომილებები აივ/ინფექციაზე. ამ ეტაპზე შედეგების ანალიზისას შეუსაბამოები არ გამოვლენილა.

DiagramN3. ხარისხის გარე პროგრამის შედეგების 2020-2021 წლის სტატისტიკა



წყარო: კვლევის შედეგები

ხარისხის გარე კონტროლის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სისხლის ბანკების ლაბორატორიების ტექნიკური შესაძლებლობების ინვენტარიზაცია, მათ მიერ გამოყენებული მეთოდების და ხარისხის მენეჯმენტის კუთხით რისკების იდენტიფიკაცია, რაც პირდაპირ კავშირშია ინფექციების გავრცელების პრევენციასთან.


NAT ტესტირების პილოტური იმპლემენტაცია

კვლევის მეორე კომპონენტი მოიცავდა ნუკლეინმჟავა ამპლიფიკაციის მეთოდის იმპლემენტაციას, რომელიც მოიცავდა 2020 წლის პერიოდს. ნატ მეთოდის იმპლემენტაციის პილოტურ კვლევაში სულ ჩართული იყო 54,116 დონაციის ნიმუში, რაც წარმოადგენდა 39,164 უნიკალურ დონორს; 591 დონორი გამოირიცხა არასწორი ან გამოტოვებული საიდენტიფიკაციო ნომრების გამო. მათგან,

ვინც შეირჩა, 71.8% (n=28,106) იყო მამაკაცი დონორი, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 35.9% (n=14,068) იყო 18-29 წლის და 30.4% (n=11,909) იყო 30-39 წლის .

შერჩეული დონორებიდან ნახევარზე მეტი (53.6%; n=20,997) იყო ნებაყოფლობითი და 79.1% (n=30,988) იყო პირველად დონორი.


DiagramN4. პილოტში მონაწილე დონორების ტიპები



წყარო: კვლევის შედეგები

დონაციების უმრავლესობა აღირიცხა თბილისში (58,3%; n=22838), აჭარასა (17,9%; n=7016) და ქვემო ქართლში (14,9%; n=5835).


DiagramN5. პილოტური კვლევაში მონაწილე დონორების რეგიონული განაწილება



წყარო: კვლევის შედეგები

საერთო ჯამში, NAT-ის მეთოდის გამოყენებით შემოწმდა 2020 წლის დონაციების მხოლოდ 63.3% NAT-ის პილოტური კვლევის დასაწყისში, კვლევის პირველი თვის განმავლობაში (2020 წლის იანვარი) შემოწმდა 303 დონაცია, მაგრამ ეს რიცხვი გაიზარდა მომდევნო თვეების განმავლობაში და 2020 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით საშუალოდ თვეში 6,521 დონაცია გადამოწმდა ნატ-სკრინინგით, რამაც შეადგინა ამ ბოლო თვეების სრული დონაციების 99%-ზე მეტი.

DiagramN6. პილოტის პერიოდში ჩატარებული NAT ტესტირებების განაწილება თვეების მიხედვით



წყარო: კვლევის შედეგები

ინფექციურ მარკერებზე დადებითობა

სკრინინგით დადებითი შედეგი სულ მცირე თითო ინფექციურ მარკერზე (HBsAg, HCV ან HIV) გამოვლინდა 671 (1.7%) დონორში, მათ შორის 611 დონაცია იდენტიფიცირდა სეროლოგიით და დამატებით 60 შემთხვევა გამოვლინდა მხოლოდ NAT სკრინინგით. აქედან ერდროულად ერთზე მეტ მარკერზე დადებითი აღმოჩნდა 12 ნიმუში (2.0%). მხოლოდ NAT-სკრინინგით გამოვლენილი 61 დონაციიდან 54 (88.3%) იყო დადებითი HBV დნმ-ზე, 6 (10.0%) HCV რნმ-ზე და 1 (1.7%) აივ-1 რნმ-ზე. დონორებში ჯამური პრევალენტობა სეროლოგიის და/ან NAT-ის მიხედვით HBV, HCV და HIV იყო 1.0% (n=384), 0.7% (n=258) და 0.1% (n=41). ბივარიაციულ ანალიზში განხილული იქნა ასაკთან, სქესთან, რეგიონთან, დონორის ტიპთან და დონორის სტატუსთან დაკავშირებული ნებისმიერი მარკერის პოზიტიურობა.


ცხრილი 1. დონორების დემოგრაფიული მონაცემები და ტესტირების შედეგები, პილოტი, იანვარი-დეკემბერი, 2020

	დონორები n (%)	ინფექციურ მარკერებზე პოზიტიურობა			სეროლოგია/NAT ტესტირება შეუსაბამობა		
		სეროლოგ ია ან NAT + n (%)	სეროლოგი ა და NAT - n (%)	Chi- square P- Value	სეროლოგ ია -/NAT + n (row %)	სეროლოგ ია და NAT + n (row %)	Chi- square P-Value
დონაციები	54,116	671 (1.2)	53,445 (98.8)	--	60 (12.3)	427 (87.7)	--
უნიკალური დონორები	39,164	671 (1.7)	38,493 (98.3)	--	60 (12.3)	427 (87.7)	--
ასაკობრივი ჯგუფები							
18-29	14068 (35.9)	118 (0.8)	13,950 (99.2)	<0.001	9 (13.6)	57 (86.4)	0.008
30-39	11909 (30.4)	249 (2.1)	11,660 (97.9)		14 (7.0)	187 (93.0)	
40-49	8162 (20.8)	200 (2.5)	7,962 (97.5)		22 (14.6)	129 (85.4)	
50+	5025 (12.8)	104 (2.1)	4,921 (97.9)		15 (21.7)	54 (78.3)	
სქესი							
ქალი	11058 (28.2)	147 (1.3)	10,911 (98.7)	<0.001	20 (20.8)	76 (79.2)	0.005
მამაკაცი	28106 (71.8)	524 (1.9)	27,582 (98.1)		40 (10.2)	351 (89.8)	
რეგიონები							
თბილისი	22838 (58.3)	395 (1.7)	22,443 (98.3)	<0.001	35 (12.4)	247 (87.6)	<0.001
აჭარა	7016 (17.9)	138 (2.0)	6,878 (98.0)		11 (11.0)	89 (89.0)	
იმერეთი	1588 (4.1)	16 (1.0)	1,572 (99.0)		6 (42.9)	8 (57.1)	
ქვ. ქართლი	5835 (14.9)	90 (1.5)	5,745 (98.5)		5 (6.6)	71 (93.4)	
სამეგრელო	589 (1.5)	25 (4.2)	564 (95.8)		0 (0.0)	9 (100.0)	
შიდა ქართლი	1298 (3.3)	7 (0.5)	1,291 (99.5)		3 (50.0)	3 (50.0)	

წყარო: კვლევის შედეგები

54,116 დონაციიდან მულტიპლექს NAT- სკრინინგით დადებითი იყო 487 (0.9%) და მათგან 60 (12.3%)- სერონეგატიური დონაციები NAT-სა და სეროლოგიას შორის შეუსაბამო შედეგებით დამატებით შესწავლილი იქნა ასაკთან, რეგიონთან, ანაზღაურების ტიპთან და დონორის სტატუსთან მიმართებაში. განსაკუთრებით მაღალი დადებითობა აღინიშნა პირველად დონორებში (96%; n=469) განმეორებითთან (4%; n=18) შედარებით და უანგარო დონორებში (58%; n=282) ფასიან და ჩანაცვლებით დონორებთან მიმართებაში.


DiagramN7. სკრინინგით გამოვლენილი შემთხვევების განაწილება დონორების ტიპის მიხედვით



წყარო: კვლევის შედეგები

ყველა მხოლოდ NAT მეთოდით გამოვლენილი დონორებიდან დონორთა რეგისტრაციის მიხედვით უმეტესობა წარმოადგენდა პირველად დონორს, რეგულარულ დონორებთან მიმართებაში.

DiagramN8. NAT მეთოდით გამოვლენილი დონორები რეგისტრაციის ტიპის მიხედვით



წყარო: კვლევის შედეგები

მრავალცვლადიან ანალიზში პირველადი ინფორმაციის დაკორექტირების შემდეგ შეუსაბამო შედეგების ალბათობა უფრო მაღალი აღმოჩნდა 50 წელზე მეტი ასაკის დონორებში 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით (შანსების/რისკის კოეფიციენტი [aOR] 3.05; 95% ნდობის ინტერვალი [95% CI]: 1.05 –8.88), ქალებში მამაკაცებთან მიმართებაში (aOR 2.06; 95% CI: 1.05-4.05), ფასიან (aOR 10.15; 95% CI: 2.80-36.86) ან ნებაყოფლობით (aOR 4.30; 95% CI: 1.56-1) დონორებში ჩანაცვლებით დონორებთან მიმართებაში. რეგულარულ და განმეორებით დონორებში პირველადთან მიმართებაში (aOR 13.98; 95% CI: 4.06–48.12)

ცხრილი 2. სეროლოგიით და NAT ტესტირებით შეუსაბამო იანვარი-დეკემბერი 2020

	Serology- /NAT+ n = 60 n (row %)	Serology+/- NAT+ n = 427 n (row %)	Odds Ratio (95% CI)	Adjusted Odds Ratio* (95% CI)
ასაკობრივი ჯგუფი				
18-29	9 (13.6)	57 (86.4)	1	1
30-39	14 (7.0)	187 (93.0)	0.47 (0.20, 1.15)	1.12 (0.40, 3.14)
40-49	22 (14.6)	129 (85.4)	1.08 (0.47, 2.49)	2.09 (0.78, 5.64)
50+	15 (21.7)	54 (78.3)	1.76 (0.71, 4.36)	3.05 (1.05, 8.88)
სქესი				
ქალი	20 (20.8)	76 (79.2)	2.31 (1.28, 4.17)	2.06 (1.05, 4.05)
კაცი	40 (10.2)	351 (89.8)	1	1
დონაციის ტიპი				
ფასიანი	27 (28.4)	68 (71.6)	1	1
ნებაყოფლობითი	30 (10.6)	252 (89.4)	3.34 (1.86, 5.99)	2.36 (1.18, 4.73)
ჩანაცვლებითი	3 (2.7)	107 (97.3)	0.24 (0.07, 0.79)	0.23 (0.07, 0.79)
დონორის სტატუსი				
პირველადი	47 (10.0)	422 (90.0)	1	1
განმეორებითი	13 (72.2)	5 (27.8)	23.35 (7.97, 68.37)	13.98 (4.06, 48.12)

წყარო: კვლევის შედეგები

განმეორებითი სეროლოგიური ტესტირება და NAT-ის გამოსავლიანობა

სისხლის ბანკების მიერ სეროლოგიური ტესტირებასა და ლუგარის ცენტრის მიერ ჩატარებული NAT ტესტირების შედეგებს შორის შეუსაბამო ნიმუშების განმეორებითი სეროლოგიური ტესტირება ჩატარდა ლუგარის ცენტრში Abbott-ის ავტომატურ ანალიზატორზე.


NAT-ით დადებითი B ჰეპატიტის 53 ნიმუშიდან 44 განმეორებით გაიტესტა HBsAg და 42 HBcAb მარკერებზე. შედეგად 5/44 (11.0%) აღმოჩნდა დადებითი HBsAg-ზე და 36/42 (85.7%) HBcAb-ზე. ის ნიმუშები, რომელთა შემთხვევაში ვერ მოხერხდა ყველა მარკერზე განმეორებითი ტესტირება

გამოირიცხა ანალიზიდან და მხოლოდ 6 HBcAb უარყოფითი ნიმუში განისაზღვრა NAT მეთოდის გამოსავლიანობად.

NAT მეთოდით დადებითი და სეროლოგიით უარყოფითი C ჰეპატიტზე 6 შემთხვევა და აივ-ზე დადებითი 1 შემთხვევა განმეორებით გაიტესტა ებოტის ავტომატურ ანალიზატორზე იგივე მარკერებზე და შედეგად მხოლოდ 1/6 აღმოჩნდა C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითი. 5 anti-HCV უარყოფითი და 1 HIV დადებითი შემთხვევები აღმოჩენილი იქნა მხოლოდ NAT სკრინინგის შედეგად.

საბოლოო ჯამში, NAT-ის ნამდვილი/ ჭეშმარიტი გამოსავლის, ეფექტიანობის მაჩვენებლის დათვლისათვის გამოყენებული იქნა 6 HBcAb უარყოფითი, 5 anti-HCV უარყოფითი და 1 HIV უარყოფითი ნიმუშები. პილოტის ფარგლებში გამოკვლეული 54,116 დონაციიდან, NAT-მეთოდის საბოლოო ეფექტიანობის მაჩვენებელმა შეადგინა 1/9,019 HBV-თვის, 1 /10,823-დან HCV-თვის და 1/ 54,116-დან HIV- თვის.

DiagramN9. კვლევის დიზაინი შედეგებთან კორელაციაში



წყარო: კვლევის შედეგები

დასკვნები

1. ყველა სისხლის დაწესებულება ლიცენზირებულია, მაგრამ არ ხორციელდება სისხლის დაწესებულებების რეგულარული ინსპექტირება. კომპეტენტური ორგანო, რომელიც გასცემს ლიცენზიას, ინსპექტირებას ატარებს მხოლოდ ლიცენზიის გაცემის წინ და მომხმარებლის მხრიდან საჩივრის შემთხვევაში.
2. სისხლის დაწესებულებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან დონაციების და დონორთა რაოდენობებით. დონაციების რაოდენობა სხვადასხვა დაწესებულებებში მერყეობს წელიწადში დაახლოებით 500 დონაციიდან 12000 დონაციამდე. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულებების უმეტესობა იღებს გარკვეულ ზომებს ნებაყოფლობითი და უანგარო სისხლის დონაციების წასახალისებლად, თუმცა უანგარო დონორთა პროცენტული მაჩვენებელი სხვადასხვა ბანკებში მკვეთრად განსხვავებულია და მერყეობს 0% დან 100%-მდე. საანგარიშო პერიოდში (2019) უანგარო დონაციების ჯამური მაჩვენებელი ყველა სისხლის ბანკისთვის კვლევის მონაცემების მიხედვით შეადგენს 33%-ს. დღევანდელი სტატისტიკით (დონორთა ერთიანი ელექტრონული ბაზა) უანგარო დონაციები შეადგენს მთლიანი დონაციების 41%-ს.
3. ყველა სისხლის დაწესებულება იყენებს დონორების ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზას, სისხლის დონორთა ეროვნულ რეგისტრს, სადაც რეგისტრირდება ყველა ინფორმაცია დონორის და დონაციების, ლაბორატორიული ტესტირების და სისხლის კომპონენტების შესახებ. ბაზა არ არის სრულყოფილად გამოყენებული, კერძოდ არ შედის ყველა ინფორმაცია გვერდითი მოვლენებისა და რეაქციების შესახებ.
4. ბანკების უმრავლესობას არ აქვს დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, იმ შემთხვევაშიც კი როცა თვით შეფასებისას აცხადებენ მისი არსებობის შესახებ, არ დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. არ არსებობს სისხლი სისტემისათვის ხარისხის მართვის ერთიანი სტანდარტები, ამიტომ ბანკები ეწევიან თვით შემოქმედებას, რაც განაპირობებს მათი სერვისების განსხვავებულ ხარისხს. არ ახორციელებენ პერიოდულ აუდიტს, არ არის იმპლემენტირებული რისკების იდენტიფიცირებისა და მართვის პროცედურები.
5. სისხლის კომპონენტების წარმოებისთვის გამოყენებული აღჭურვილობის შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია სისხლის ბანკების მხოლოდ 36%-ის მიერ. ჩამოთვლილი აღჭურვილობა, უმეტეს შემთხვევებში, ნაწილობრივ ან მთლიანად არ პასუხობს სისხლის წარმოების თანამედროვე სტანდარტებს. გამოთვლის წარმოადგენდა 1 სისხლის ბანკი, რომელმაც წარმოადგინა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა.
6. ტრანსფუზიით დადამდებ ინფექციების გავრცელების პრევენციის მიმართულებით სისხლის ბანკები სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ასრულებენ სეროლოგიური მეთოდების გამოყენებით ინფექციურ მარკერებზე ტესტირებას. სისხლის დაწესებულებების 27% ატარებს სრულად ავტომატიზირებული მეთოდების გამოყენებით, ხოლო 73% იყენებს ნახევრადავტომატური მეთოდებს. სკრინინგის ალგორითმი არ არის სტანდარტიზებული, იყენებენ განსხვავებულ მეთოდებსა და რეაქტივებს. მიუხედავად მათი განაცხადისა აპარატურის კალიბრაციასა და რეაგენტების ვერიფიკაცია/ვალიდაციაზე, არსად არ მოიძებნა შესაბამისი ჩანაწერები.
7. სისხლის ბანკები არ ახორციელებენ სკრინინგით გამოვლენილი დადებითი შემთხვევების კონფირმაციას. ეს არ არის გათვალისწინებული უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. კონფირმაციული ტესტირების ნაწილს ფარავს სხვა სახელმწიფო პროგრამები, კერძოდ C ჰეპატიტის და აივ-ინფექციის შემთხვევაში შესაბამისი პროგრამები. B ჰეპატიტის და სიფილისის კონფორმაციული დიაგნოსტიკა ამ ეტაპზე არ ტარდება რუტინულად.

8. NAT მეთოდის იმპლემენტაციამ კიდევ ერთხელ აჩვენა ამ მეთოდის მაღალი მგრძნობელობის ეფექტი და პილოტის პერიოდში (2020 წელი) გამოვლინდა სერონეგატიური ფანჯრის პერიოდში 60 ახალი შემთხვევა, რაც მხოლოდ მანამდე არსებული სკრინინგული ალგორითმის მიხედვით ვერ დიაგნოსტირდებოდა, რაც შედეგად ტრანსფუზიის გზით ინფექციების გავრცელებას გამოიწვევდა.
9. NAT პილოტური კვლევის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა სისხლის სისტემის რეორგანიზაციის, კერძოდ ტესტირების ცენტრალიზებული მოდელის შექმნის საჭიროება. ეს მიდგომა დონორთა სკრინინგის სტანდარტიზაციის, ინფექციების გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების უკეთ იდენტიფიკაციის და მართვის საშუალებას მოგვცემს.
10. პოლოტურმა პროგრამამ კიდევ ერთხელ დაადასტურა უანგარო, რეგულარული დონორების რეგისტრის და მათი შენარჩუნება/ წახალისების აუცილებლობა, რადგან დონორთა ამ ტიპისათვის ყველაზე მაღალია ინფექციის აღმოჩენის შესაძლებლობა და შესაბამისად დაბალია ტრანსფუზიით ინფექციის გავრცელების რისკი.
11. პილოტურმა პროგრამამ ორმაგი სარგებელი მოიტანა საქართველოში სისხლის სისტემის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით. პირველი ის, რომ C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ერთერთ მნიშვნელოვან ინტერვენციის იმპლემენტაციას შეუწყო ხელი, კერძოდ HCV ინფექციის გავრცელების პრევენციას და მეორე ის, რომ პროგრამის იმპლემენტაციით სისხლის უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის გადაიდგა ერთერთი პირველი ნაბიჯი ევროკავშირთან ინტეგრაციისაკენ, რისი ვალეზულებაც განსაზღვრულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების XXXI დანართის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა“ ფარგლებში. (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>)
12. სადისერტაციო ნაშრომის მონაცემები, მათი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება მნიშვნელოვანია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულებით. ძირითადი მიგნებების უმეტესობა უკვე ასახულია 2 უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებში, კერძოდ, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასა და ევროკავშირთან თვინინგის პროექტის „უსაფრთხო სისხლის გაძლიერება საქართველოში“, ძირითადი ინტერვენციების იმპლემენტაცია დაწყებულია და უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში ქვეყანა მიიღებს დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებულ, სრულიად განსხვავებულ და ხარისხზე ორიენტირებულ უსაფრთხო სისხლის სისტემას .

პრაქტიკული რეკომენდაციები

1. სისხლის ბანკების და ზოგადად სისხლის სისტემის მარეგულირებელი მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს შესწავლისას გამოიკვეთა სისხლის სისტემის რეორგანიზაციის საჭიროება ეროვნულ დონეზე. ძირითადი კანონისა და კანონქვემდებარე აქტების განახლება, სალიცენზიო პირობების გამკაცრება და კომპეტენტური ორგანოს მიერ სისხლის დაწესებულებების რეგულარული ინსპექტირების განხორციელება.
2. კვლევის ფარგლებში სისტემის შეფასების საფუძველზე დაყრდნობით ინიცირებული ევროკავშირის ქვეყნებთან თვინინგის პროექტის „უსაფრთხო სისხლის სისტემის გაუმჯობესება საქართველოში“ შეიქმნა განახლებული კანონპროექტი „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ რომელიც მოიცავს რადიკალურ ცვლილებებს და არამომგებიანობისა და უანგარობის პრონციპებზე დამყარებული სისტემის სრულიად განსხვავებული მოდელის შექმნას. კერძოდ, სისტემის ცენტრალიზაციას, არა უმეტეს 3 სისხლის დაწესებულებისა საქართველოს მასშტაბით, ჰემოზედამხედველობის

სისტემის ჩამოყალიბებას, კომპეტენტური ავტორიზებული ორგანოს შექმნას ეროვნულ დონეზე, რომელიც იმუშავებს არსებული რეგულაციების თანხვედრაზე ევრორეგულაციების მოთხოვნებთან და მომავალში თავის პასუხისმგებლობაში აიღებს სისხლის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფას.

3. ინფექციების გადაცემის პრევენციის თვალსაზრისით სასურველია ლაბორატორიული ტესტირების მეთოდების გადახედვა და ახლი ალგორითმების შემუშავება მოლეკულური მეთოდების და სხვა იმუნოჰემატოლოგიური მეთოდების დამატებით/ჩანაცვლებით და მათი სტანდარტიზაცია.
4. დონორთა სკრინინგის ცენტრალიზებული ტესტირება, ცენტრალური ტესტირების ლაბორატორიის ჩამოყალიბება, რაც შეამცირებს იმ შეცდომების ალბათობას, რომელიც კვლევის დროს გამოვლინდა.
5. ცენტრალიზებული ტესტირება, კერძოდ მეთოდების სტანდარტიზაცია, ხარისხის რისკების მონიტორინგი და სერონეგატიურ დონაციებში ინდივიდუალური ნატ-სკრინინგის ნაცვლად მინი პულში ტესტირების იმპლემენტაცია, იქნება იმის საფუძველი, რომ უფრო ხარჯეფექტიანი გახადოს სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირება.
6. NAT-ის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული დასკვნები მხარს უჭერს პროგრამულ მიზნების განხორციელებას, კერძოდ უსაფრთხო სისხლის კონცეფციის, უანგარო დონაციის, რეგულარული დონორების მხარდაჭერას. მაგალითად, NAT+ დონაციების აბსოლუტური უმრავლესობა (97.5%) დაფიქსირდა პირველად დონორებში, რაც ხაზს უსვამს სტაბილური რეგულარულ დონორთა ფონდის შექმნის აუცილებლობას და დონაციის წახალისებას.
7. აუცილებელია უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში სისხლის სისტემის მიმართულებით ახალი კურიკულუმებისა და გაიდლაინების შექმნა, ლიზენზირება, ბანკის პერსონალის სავალდებულო მონაწილეობა გარკვეული პერიოდულობით.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია

სადისერტაციო თემაში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ნაშრომები მოიცავს სტატიების გარდა სტრატეგიული დოკუმენტებსა და ყოველწლიური რეპორტებს, რომლებშიც ასახულია კონფერენციებზე წარდგენილი ყოველწლიური პროგრესი ამ სფეროში და გამოქვეყნებულია ღვიძლის საერთაშორისო ფონდის მიერ (International Liver Foundation) ღვიძლის შემსწავლელი ევროპის ასოციაციის (EASL) ვებ პლატფორმაზე შექმნილ ვებ გვერდზე Center of Excellence Initiative (<https://centre-of-excellence.easl-ilf.org/reports>)

- a. STRATEGIC PLAN FOR THE ELIMINATION OF HEPATITIS C VIRUS IN GEORGIA, 2016-2020 (<https://centre-of-excellence.easl-ilf.org/reports>)
- b. National Hepatitis C Elimination Program Progress Report, Georgia, 2018-2019 (<https://centre-of-excellence.easl-ilf.org/reports>)
- c. STRATEGIC PLAN FOR THE ELIMINATION OF HEPATITIS IN GEORGIA, 2021-2025 (<https://centre-of-excellence.easl-ilf.org/reports>)
- d. Georgia Hepatitis Elimination Program Progress Report, 2020-2021 (<https://www.cdc.gov/hepatitis/global/GeorgiaHepEliminationProgressReport2020-2021.pdf>)
- e. Blood transfusion safety in the country of Georgia: collateral benefit from a national hepatitis C elimination program. Transfusion 2020;60: 1243-52. (ავტორები: Bloch EM, Kipiani E, Shadaker S, Alkhazashvili M, Gvinjilia L, Kuchuloria T, Chitadze N, Keating SM, Gamkrelidze A. Skaggs B.)
- f. “Collateral benefit of Georgia national hepatitis C elimination program - improving blood transfusion safety in the country of Georgia, 23 June, 2022. London, UK); Journal of Hepatology 2022 vol. 77(S1) |

- S219; THU253 (ავტორები: Maia Alkhazashvili, Evan Bloch, Shaun Shadaker, Tinatin Kuchuloria. ,... Paige A. Armstrong, Amiran Gamkrelidze)
- g. Advancing blood transfusion safety using molecular detection in the country of Georgia
(ავტორები: Alkhazashvili, Maia BLOCH, Evan Shadaker, Shaun Kuchuloria, ... Paige A. Armstrong, Amiran Gamkrelidze)



University of Georgia
School of Health Sciences
Doctoral Program: Public health

With the right of manuscript

Maia Alkhazashvili

Evaluation and administration of the risks of the state safe blood program

Abstract

of the thesis submitted to earn academic degree of Doctor in Public Health

(Specialty - 0904 – Public Health)

Tbilisi

2022

This is accomplished at the School of Health Sciences of the University of Georgia.

Members of the Dissertation Council:

Chairman - Vasil Tkeshelashvili, Doctor of Medical sciences, Professor

Scientific Adviser - Amiran Gamkrelidze, Doctor of Medical sciences, Professor

Internal Expert - Teimuraz Silagadze, Academic Doctor of Medicine, Professor

Invited expert – Ketevan Stvilia, Doctor of Public Health

Invited expert - Nino Abesadze, Doctor of Public Health

Invited expert -Lela Sturua, Doctor of Public Health, Professor

Defense of the thesis will take place on November 25, 2022, --:00, at the session of the Dissertation Council of the School of Health Sciences of the University of Georgia

Thesis is available in the library of the University of Georgia

Abstract was sent out on January 25, 2021.

Secretary of the Dissertation Council,

Manager of the Doctoral Programs at the University of Georgia Natia Manjikashvili

Problem Statement

The prevention of infections through blood transfusion, and the assurance of the safety of donor blood and the quality of its components is one of the main priorities and most important responsibilities of the social healthcare system. Blood transfusion saves human lives and improves their health, although many patients that need blood do not have timely access to safe blood. The provision of safe blood when needed represents a part of the policies of healthcare for every country.

